დანართი №2

შპს მარენულის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპიის“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო ბეგლარაშვილი
წევრები:
ხათუნა ურუშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მარნეულის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 5 მარტის N239405 ბრძანების საფუძველზე „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს მარნეულის კოლეჯში (მისამართი: ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 მარტს. შპს მარნეულის კოლეჯმა გააკეთა განაცხადი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპიის“ დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფთან ერთად (თავმჯდომარე ნინო ბეგლარაშვილი, დარგის ექსპერტი - ხათუნა ურუშაძე) ვიზიტს ესწრებოდნენ სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი ლონდა მინდიაშვილი და დამკვირვებელი ექსპერტის სტატუსით - დავით ხუციშვილი.

ვიზიტი მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტამდე განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლა, ვიზიტის დროს კი დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციის წევრებთან, ხელმძღვანელობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძთვანელთან, დასამატებელი პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებლებთან. დაწესებულებამ უზრუნველყო ვიზიტის დროს მოთხოვნილი დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, რომელიც პროგრამის განხორციელებისთვისაა საჭირო.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

წარმოების ფარგლებში საუკეთესო გამოცდილება/მაგალით(ებ)ი არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

- *სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, სასურველია, დაწესებულებამ დაამატოს სხვა ლიტერატურაც მასაჟის მიმართულებით, დარგობრივი მოდულების ეფექტიანად განსახორციელებად.*
- *<u>სასურველია, დარგობრივი კომპეტენციის გაძლიერებისა და განახლებული პროფესიული ცოდნის მიღების მიზნით, დაწესებულებამ პერმანენტულად იზრუნოს განმახორციელებლების პროფესიულ განვითარებაზე.</u>*
- *სასურველია, დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიულ განვითარებაზე აღნიშნული ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისათვის.*

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელ რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში; Higher Vocational Qualification in Massage Therapy
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N1543, 03.02.2025 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40 იმიტირებულ სამუშაო გარემოში
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა „მასაჟის თერაპიის“ პროგრის დამატების არგუმენტირებული დასაბუთება. მათი არგუმენტაცია ეყრდნობა რამდენიმე მტკიცებულებას. მათ შორის, უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ პროგრამის დამატება პასუხობს კოლეჯის მისიას, რადგან ის ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის კადრის მომზადებას მრავალპროფილური პროგრამების შეთავაზებით. პროგრამის განხორციელების მნიშვნელოვნების დასტურია ისიც, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის MES 7 25 0000130740 ბრძანებით ჯანდაცვის მიმართულების პროგრამები განისაზღვრა, როგორც პრიორიტეტული.
   აღნიშნული პროგრამის განხორციელების აქტუალობა საბუთდება შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული დამსაქმებლის კვლევის შედეგებით. კერძოდ, 2024 წლის დამსაქმებელთა კვლევაში გამოკითხულთა 25%-მა ყველაზე მოთხოვნად და საჭირო პროფესიად დაასახელა ფიზიოთერაპიის/მასაჟის პროცედურების მომსახურე ჯანდაცვის პერსონალი. დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერების ერთობლივი კვლევის შედეგებიც აღნიშნული პროგრამის დამატების საჭიროებას უსვამს ხაზს, რადგან გამოკითხულთა 20%-მა შეთავაზებული 12 პროფესიული პროგრამიდან დაასახელა მასაჟის სპეციალობა, როგორც სასურველი დასაუფლებელი პროფესია.
   აღსანიშნავია, რომ მასაჟის მიმართულებით პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა წლების განმავლობაში არ არსებობდა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტი დამტკიცდა 2024 წლის ბოლოს. მარნეულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთაგან არცერთი არ ახირციელებს მასაჟისტის სადიპლომო პროგრამას. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ პროგრამის დამატების შემთხვევაში, პოტენციური მსურველები სწორედ აღნიშნული დაწესებულების პროგრამით დაინტერესდებიან, რაიონში ამ მიმართულებით კონკურენტული დაწესებულების არარსებობის გამო.
   ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს კოლეჯის მიერ პროგრამის დამატების არგუმენტირებულ დასაბუთებას. რადგან საჭიროებასთან ერთად, დასტურდება აღნიშნულის თავსებადობა კოლეჯის მისიასა და სტრატეგიასთანაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ წინაპირობებს. დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია და იმეორებს პროგრამის სტანდარტით გათვალისწინებულ წინაპირობას, კერძოდ, სრული ზოგადი განათლებასა და არანაკლებ 18 წლის ასაკს.
3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით". 2025 წლის N1577 ბრძანებით კი დაწესებულების დირექტორმა განისაზღვრა და დამტკიცდა "მასაჟის თერაპიის" პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრული ოდენობა, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამების სპეციფიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განთლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის დამატების შემთხვევაში, სასწავლო გარემოდ განისაზღვრა A, B და C გარემო, რომლებშიც პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა - 20. კვირეული საათობრივი დატვირთვისა და მოდულების განხორციელებისთვის საჭირო გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელება ნამდვილად შესაძლებელია 40 სტუდენტზე, რადგან დაწესებულების განცხადებით, ისინი თავდაპირველ მიღებას გეგმავენ ორ ეტაპად - 20-20 პროფესიული სტუდენტისთვის, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო ცხრილის აწყობას ისე, რომ ორივე მიღების ფარგლებში ჯამში 40 სტუდენტზე გადანაწილდეს შესაბამისი გარემოს გამოყენება.
4. ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მასაჟის თერაპიის" განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დეტალური ჩამონათვალი იმ რესურსებისა, რომლებიც საჭიროა პროგრამით განსაზღვრული მოდულების მისაღწევი შედეგების დასაფარად. ამასთან, ხარისხის მართვის მექანიზმები (სტუდენტთა და განმახორციელებელთა გამოკითხვა) მოიაზრებს საკითხებს პროგრამის რესურსების შეფასებასთან დაკავშირებითაც, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს პერიოდულად მიიღოს სტუდენტებისა და განმახორციელებლებისგან უკუკავშირი მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით.

დარგის ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, სასურველია, დაწესებულენამ დაამატოს სხვა ლიტერატურაც მასაჟის მიმართულებით, დარგობრივი მოდულების ეფექტიანად განსახორციელებად.

5. დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში განსახორციელებლად აქვს გათვალისწინებული არჩევითი მოდული „ესთეტიკური მასაჟი", რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. აღნიშნული მოდული გათვალისწინებულია პროგრამის დამტკიცებული სტანდარტით, რაც ასევე ადასტურებს მისი განხორციელების მიზანშეწონილობას.
6. საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია" კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის ბრძანებით (ბრძანება #1543, 03/02/2025).
7. პროგრამის სახელწოდება იდენტურია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სახელწოდებისა ("მასაჟის თერაპია") და მისი შინაარსი და სწავლის შედეგებიც თანხვედრაშია აღნიშნულ დოკუმენტთან. კერძოდ: კურსდამთავრებულები შეძლებენ გამოიკვლიონ პაციენტი/კლიენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შეაფასოს მისი მდგომარეობა, აღწერონ მასაჟის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები, გამოიყენონ ბიოეთიკისა და დეონტოლოგიის პროფესიული ასპექტებისა და ურთიერთობის ფსიქოლოგია, მოაწყონ უსაფრთხო სივრცე მასაჟის პროცედურის ჩასატარებლად, აღწერონ მასაჟის თეორიული საკითხები, გააკეთონ კლასიკური (შვედური) მეთოდიკით ზოგადი და რეგიონალური მასაჟი,სამკურნალო მასაჟი, სპორტული მასაჟი, ადრეული ასაკის ბავშვთა ზოგადგამაჯანსაღებელი და სამკურნალო მასაჟი, პრევენციული (პროფილაქტიკური) მასაჟი, განახორციელონ პირველადი გადაუდებელი დახმარება, იზრუნონ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, განახორციელონ ესთეტიკური მასაჟი ან სპა და ბალნეოთერაპიული პროცედურები. პროგრამაში შეტანილი მოდულების შინაარსი სრულად შეესაბამება აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევას.

8. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება როგორც დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციებს, ასევე კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და პროგრამის სტანდარტს - მასაჟის თერაპია; Massage Therapy, სარეგისტრაციო ნომერი 09.2.1 აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე. განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, დაშვების წინაპირობები, პროგრამის განხორციელების მიზნები, ხანგრძლივობა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელიც სტუდენტის კვირეულ დატვირთვას, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
2. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება
5. პროგრამის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება
6. კონკრეტულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება განხორციელების ყველა ფორმის ან/და მიდგომის შესაბამისად
7. შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
8. ინტერვიუს შედეგები
9. დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამა „მასაჟის თერაპიის“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A, B და C გარემო. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

   A გარემოსთვის - ერთი აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 სტუდენტისთვის. კერძოდ, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს აღნიშნული რაოდენობის შესაბამისი მაგიდა და სკამი, 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი და 1 მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B გარემოსთვის - ერთი აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით - გამართულია 20 კომპიუტერი სტუდენტებისთვის და ერთი მასწავლებლისთვის.
C გარემოსთვის - ორი აუდიტორია - სპეციალიზირებული პრაქტიკის აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით "მასაჟის თერაპიის" პრაქტიკული მეცადინეობებისთვის და ასევე, აუდიტორია პირველადი დახმარების შესწავლისთვის, შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით.
ვინაიდან დაწესებულება გეგმავს სტუდენტთა ორ მიღებაზე განაწილებას (პირველი მიღება 20, მეორე მიღება - 20), აღნიშნული მატერიალური რესურსი იძლევა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპიის" განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიული განათლების მასწავლებლი (თითო მოდულზე განსაზღვრულია ორი ან მეტი განმახორციელებელი). დაწესებულების მიერ, ექსპერტებისათვის მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების დატვირთვის დოკუმენტის თანხმად, არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს და ჩანს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა ადეკვატური და საკმარისი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

3. დაწესებულებას პერსონალის მართვის წესით განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს დარგის მიმართულებით ან უმაღლესი განათლება, ან პროფესიული განათლება, ან სულ მცირე ორწლიანი სამუშაო გამოცდილება, ან გადამზადების დოკუმენტი, ან შესაბამისი მომზადება/სერტიფიცირება.

დაწესებულებას ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასაუბრება ჩატარდა პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დაწესებულების მიერ მოწოდებული პირადი საქმეების შესწავლითა და ჩატარებული ინტერვიუებით, დასტურდება, რომ პროფესიულ მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი მოდულების განხორციელების თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია. შესწავლილი პირადი საქმეების შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელ ყველა პროფესიულ მასწავლებელს უფიქსირდება შესაბამისი მოდულის ცოდნის კვალიფიკაცია ან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით ან სამუშაო გამოცდილებით, დარგობრივი მოდულების შემთხვევაში - სხვადასხვა სახის სერთიფიკატებით. აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

თუმცა ვინაიდან მასაჟის მიმართულებით პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებს დარგობრივი კომპეტენცია უფიქსირდებათ, უმრავლეს შემთხვევაში, აღნიშნულ სფეროში გადამზადების სერტიფიკატით, ***სასურველია, დარგობრივი კომპეტენციის გაძლიერებისა და განახლებული პროფესიული ცოდნის მიღების მიზნით, დაწესებულებამ პერმანენტულად იზრუნოს განმახორციელებლების პროფესიულ***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებაზე. მითუმეტეს, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებას უკვე აქვს კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული, კერძოდ, შპს თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტთან და შპს პმ სქულთან გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის მასაჟის თერაპიის პროფესიული პროგრამის მასწავლებლების დარგობრივ გადამზადებას, დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერებას, მათთვის დარგის სიახლეების გაცნობას.

4. დაწესებულებას პერსონალის მართვის წესში განსაზღვრული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირის პირადი საქმე, რომლიდანაც ირკვევა, რომ აღნიშნული პიროვნება განათლებით არის ბებიაქალი, თუმცა აქვს გადამზადების სერტიფიკატი მასაჟის მიმართულებით და ასევე, სამუშაო გამოცდილება ამ სფეროში. შესაბამისად, მას აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო კომპეტენციები. თუმცა, რადგან აღნიშნულ პირს აქამდე არ ჰქონია ხელმძღვანელობის გამოცდილება, ***სასურველია, დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიულ განვითარებაზე აღნიშნული ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისათვის.***
5. კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამაში მითითებულ დარგობრივი თუ ზოგადი მოდულების განსახორციელებლად საჭირო სახელმძღვანელოები. შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. მოწყობილია სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც ადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურებს, კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. ამასთან, პროგრამის თითოეულ მოდულს ახლავს რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. ეს ყოველივე დაწესებულებას აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.
7. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (17 სტუდენტი). პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, რომელსაც რენტაბელობის ზღვრის შესაბამისი შემოსავლები სრულად ფარავს. პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა
3. შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
4. შპს მარნეულის კოლეჯის პერსონალის მართვის წესი
5. პროგრამის განმახორციელებლებისა და ხელმძღვანელის პირადი საქმეები
6. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი
7. კოლეჯის მიერ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები
8. ინტერვიუს შედეგები
9. ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯში პროფესიული პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ იკრიბება სამუშაო ჯგუფი, რომელიც პროგრამის შეფასების მიზნით განიხილავს თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს, ამავე წესით დამტკიცებული პროგრამის შეფასების თანდართული ფორმის შესაბამისად. პროგრამის შეფასების ფორმა ითვალისწინებს ისეთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემების გაანალიზებას, როგორებიცაა: აპლიკანტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა სტატისტიკური მონაცემები, პროგრამის ფინანსური მდგრადობის საკითხი, პერსონალის მონაცემები, დამსაქმებელთა კვლევის შედეგები და დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი. აღნიშნული მონაცემების გაანალიზება და შეფასება დაწესებულებას საშუალებას აძლევს, მიიღოს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით.

2. კოლეჯის წარმომადგენელები ინტერვიუებშიც და პროგრამის განვითარებისა თუ ხარისხის მართვის მექანიზმების დამტკიცებული დოკუმენტითაც ადასტურებენ, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მთავარი მიზანია, გამოავლინოს არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. შესაბამისად, კოლეჯს განსაზღვრული აქვს, რომ ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენება ხორციელდება შემდეგი მიზნებისთვის: პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. შეფასება ეყრდნობა კვლევის სხვადასხვა ინსტრუმენტით შეგროვებულ მრავალფეროვან წყაროებსა და მრავალმხრივ ინფორმაციას. აღნიშნულ მექანიზმებს დაწესებულება აქტიურად იყენებს უკვე არსებულ პროგრამებთან მიმართებით, რისი კონკრეტული მაგალითებიც ექსპერტთა ჯგუფს ინტერვიუს დროს გაუზიარეს კოლეჯის აკადემიურმა დირექტორმა და ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯს აქვს მზაობა დამტკიცებული ხარისხის მართვის მექანიზმების გამოყენებით პერმანენტულად შეაგროვოს ინფორმაცია “მასაჟის თერაპიის” პროგრამის შეფასების მიზნითაც და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, განახორციელოს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებების ინიცირება არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი*
2. *შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები*
3. *ინტერვიუს შედეგები*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად აკადემიური დირექტორი სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს სასწავლო კალენდარს, რომლშიც აისახება მოდულების დაწყებისა და დასრულების თარიღები, წინაპირობების დაცვით. სასწავლო კალენდრის შესაბამისად, დგება ცხრილები და შეფასების განრიგი სტუდენტებისთვის. პროგრამის დამატების შემთხვევაში არსებული მატერიალური რესურსი და განმახორციელებლების კომპეტენცია იძლევა საშუალებას, რომ პროცესები წარიმართოს კოლეჯის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმების შესაბამისად.
2. დაწესებულებას აქვს მზაობა, სტუდენტთა ინტერესების მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ინდივიდუალური საჭიროებები გაითვალაისწინოს სწავლების პროცესში. მაგალითად, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს გამოკვეთილი საჭიროების შემთხვევაში აკადემიური დირექტორის მიერ სასწავლო კალენდარში ცვლილების შეტანას, რაც გულისხმობს ინდივიდუალური სასწავლო კალენდრის შექმნას კონკრეტული ჯგუფისთვის. ხარისხის მართვის მექანიზმებშიც არსებობს სტუდენტთა უკუკავშირის მიღებისა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით თუნდაც პროგრამის ცვლილების ინიცირების შესაძლებლობის არსებობა, ეს ყოველივე ნამდვილად იძლევა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გაითვალისწინებისა და მათ საჭირობებზე რეაგირების საშუალებას.
3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა (მათ შორის, კომპიუტერული ტექნოლოგიების) და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებით დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამის განხორციელების მიზნით, სასწავლო გარემოც მოწყობილია აღნიშნული მეთოდოლოგიით სწავლებისათვის საჭირო ინვენტარით.

4. შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, სტუდენტის აკადემიური მოსწრების ხელშეწყობის მიზნით, დამდგარი საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური დირექტორი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე დანიშნოს დამატებითი მეცადინეობები ან ინდივიდუალური კონსულტაციები სასწავლო კალენდარში ცვლილების გარეშე. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენების გადამოწმება განსახილველ პროგრამაზე ვერ მოხერხდა, ვინაიდან ის ჯერ არ ხორციელდება, თუმცა დაწესებულებას აქვს შესაბამისი მზაობა, გამოიყენოს მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმები.
5. "მასაჟის თერაპიის" პროგრამა არ ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევას პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტზე.
6. კოლეჯის ინფრასტრუქტურა ქმნის უსაფრთხო სასწავლო გარემოს. დაწესებულებამ წარმოადგინა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი მტკიცებულებები. უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში პროგრამის განხრციელებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი, ხოლო შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს კოლეჯის უსაფრთხოების დებულების შესაბამისად ახორციელებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თავისი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, რეგულარულად განსაზღვრავს და აფასებს რისკებს, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. "მასაჟის თერაპიის" პროგრამის დამტკიცებამდეც მის მიერ განხორციელდა პროგრამის საფრთხეებისა და რისკების შეფასება. უსაფრთხოების საკითხები დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა სასწავლო გარემოს მოწყობისას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების დოკუმენტები*
2. *შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი*
3. *შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები*
4. *შპს მარნეულის კოლეჯის უსაფრთხოების დებულება*
5. *ინტერვიუს შედეგები*
6. *ვიზუალური დათვალიერებით*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს მარნეულის კოლეჯში პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. რეგულაციით განსაზღვრულია შემდეგი საკითხები:
   - *სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი* - შეფასებამდე ინსტრუმენტი გადის ვალიდაციის პროცესს, რომელსაც ხელმძღვანელობს სასწავლო მენეჯერი. ვალიდაციის პროცესში მასთან ერთად მონაწილეობს შესაბამისი მოდულის დარგის მასწავლებელი/სპეციალისტი, რომელიც ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობას შინაარსობრივი მიმართულებით. წესი დეტალურად აღწერს ვალიდაციის პროცედურებს.
   - *სტუდენტის შეფასების წესი* - დეტალურადაა გაწერილი შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები და მათ შესახებ სტუდენტის ინფორმირების საშუალებები.
   - *სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი* - დეტალურადაა გაწერილი სტუდენტების მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და მტკიცებულებების მოპოვების წესი. პროგრამის მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გავიდეს მეორე განმეორებით გამოცდაზე

   აღნიშნული რეგულაციის გამოყენება ნამდვილად უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და სანდოობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ მოდულებში "შეფასების მიმართულების" გრაფებში სწავლის შედეგის გასაზომად შერჩეულია შეფასების ფორმებიც, რომლებიც რელევანტურადაა შერჩეული.

2. კოლეჯს დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. რომლის მიხედვითაც შიდა ვერიფიკაციის პროცესი ხორციელება სამი მიმართულებით: შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად, კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მოქმედების დასაწყისში, ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც მოიცავს რისკების სისტემიდან, რისკების გარემოებების შესაბამისად შერჩეულ მოდულებს, ანაწილებს შიდა ვერიფიკატორებს და შეარჩევს თითოეული მოდულის შემთხვევაში დარგის სპეციალისტს. შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკატორი მტკიცებულებებზე დაყრდნობით წერს დასკვნას - პროფესიული სტუდენტების შეფასების სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის შესახებ, რომელშიც იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი დასკვნის განხილვის საფუძველზე ახდენს ხარვეზის იდენტიფიცირებას. იდენტიფიცირებული ხარვეზიდან გამომდინარე ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და განსახილველად უგზავნის აკადემიურ დირექტორს. აღნიშნულის განსახორციელებლად, ვერიფიკაციის მექანიზმში დეტალურადაა გაწერილი განსახორციელებელი აქტივობები და პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული პროცედურების განხორციელება ნამდვილად უზრუნველყოფს კოლეჯში სტუდენტის შეფასების სისტემის ეფექტიანობის შეფასებას.

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგლირებელი წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები 3 წლის ვადით უნდა ინახებოდეს კოლეჯში, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოებულ სტუდენტის პორტფოლიოში/ელექტრონულ საცავში. ხოლო შეფასების უწყისების შენახვა ხდება ცალკე, უვადოდ, სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. რეგულაცია ითვალისწინებს მტკიცებულებათა განადგურების პროცედურასაც: შესაბამისი კომისია ახდენს სამი წლის მტკიცებულებების განადგურებას.
4. განმახორციელებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სხვა პროგრამების ფარგლებში აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა შედეგებს მათი განვითარებისთვის. სტუდენტებისთვის შეფასების პროცესის შემდგომ უზრუნველყოფიალია შეხვედრები შეფასების შედეგების განხილვასა და უკუკავშირის მიცემის მიზნით, რაც აისახება მასწავლებლების მიერ წარმოებულ კალენდარულ გეგმებში. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება როგორს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ასევე, შუალედური შეფასების შედეგებთან ერთად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი მოდულების გეგმები*
2. *შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი*
3. *შპს მარნეულის კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმი*
4. *ინტერვიუს შედეგები*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 26.03.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: